

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 13

ქ.ვანი თავისუფლების N65

19 ივლისი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგობერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგობერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე წარმოდგენილი პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს:/ზვიად კაპანაძე./

2.ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს./მამუკა ნამიჭივილი/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენის :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა წარმოდგენილი პროექტის თაობაზე და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

1.1.სპეციალიზებული ავტომანქანა (ამწე კალათი) ZIL 133 GIA, სახელმწიფო ნომრით ADO – 761;

1.2.მუხლუხა ტრაქტორი VTZ DT-75, სახელმწიფო ნომრით HZ-957;

1.3. ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“, სახელმწიფო ნომრით VMG-041;

1.4 ავტომანქანა „მიცუბიში მონტერო-სპორტი,“ სახელმწიფო ნომრით TTE-317;

მუხლი 2. პირველი მუხლის 1.1- 1.4. ქვეპუნქტებით ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

2.1. სპეციალიზირებული ავტომანქანა (ამწე კალათა) ZIL 133 GIA, სახელმწიფო ნომრით ADO-761, 15100 (თხუთმეტიათას ასი) ლარი;

2.2. მუხლუხა ტრაქტორი VTZ DT-75, სახელმწიფო ნომრით HZ-957, 5070 (ხუთიათას სამოცდაათი) ლარი;

2.3. ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“, სახელმწიფო ნომრით VMG-041; 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი;

2.4. ავტომანქანა „მიცუბიში მონტერო-სპორტი,“ სახელმწიფო ნომრით TTE-317; 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი.

მუხლი 3. პრივატიზების პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების მიზნით განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული ფასდაკლება ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. სალხინოში (ს/კ 31.06.24.000/036) მდებარე საპრივატიზებო ობიექტის მიმართ და საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

3.1 სოფ. სალხინოში მდებარე 430 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დამნიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 590.25 კვმ შენობა-ნაგებობა, ს/კ 31.06.24.000/036, 9000 (ცხრაათასი) ლარი.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მოწონებული იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე წარმოდგენილი პროექტი.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა ,რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N 2712 განკარგულების შესაბამისად:

შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში და შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა ცვლილებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად. დანართი თან ერთვის.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N3/

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცლილება ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N27 16 განკარგულებაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგობერიძე
ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე